

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

16 მაისი 2007 წელი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მისამართი:
ქ. თბილისი, არაყიშვილისი I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 19:30სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი, ზაზა ხატიაშვილი. როინ მიგრიაული

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. 2007 წლის რიგით მესამე ტესტირების თარიღის განსაზღვრა;
2. ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტების განმხილველი რეაგირების ჯგუფის შექმნა და მისი ცხელი ხაზით უზრუნველყოფა;
3. სხვა მიმდინარე საკითხები.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების წარმოდგენის საფუძველზე განისაზღვრა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების თარიღი.

ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატთა ტესტირება გაგრძელდება ხუთი დღე, 2007 წლის 10 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში.

2. დადგენილ იქნა ასოციაციის ცხელი ხაზით უზრუნველყოფა და რეკლამირება, რომლის მეშვეობითაც მოხდება რეაგირება 24 საათის განმავლობაში ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

რეაგირების ჯგუფი შედგება აღმასრულებელი საბჭოს წევრებისა და ასოციაციის სხვა წევრებისგან.

3. განხილულ იქნა განცხადებები საწვრო შეღავათის თაობაზე, რომელთაგან:

ა) ელისო აბრალავას განცხადება – დაკმაყოფილდა;

ბ) დავით სანაძის განცხადება - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საწვრო შენატანის გადახდა გადავადდა 2007 წლის პირველ ივნისამდე; მომხრე ოთხი, წინააღმდეგი ერთი, ზ. ხატიაშვილი მომხრეა დ. სანაძის საწვრო შენატანის გადახდა გადავადდეს 2007 წლის პირველ სექტემბრამდე.

გ) ნონა ლუკავას განცხადება – დაკმაყოფილდა.

დ) გიორგი გელხაური განცხადება – დაკმაყოფილდა;

ე) თამარ ტატიშვილს საწვრო შენატანის გადახდა გადაუვადდა 2007 წლის 20 სექტემბრამდე;

ვ) რამაზ გაბელაიას განცხადება – დაკმაყოფილდა;

ზ) ამირან ცალანს საწვრო შენატანის გადახდა გადაუვადდა 2007 წლის პირველ ივნისამდე;

თ) ბადრი გაბელაიას განცხადება – დაკმაყოფილდა;

ი) მერაბ ბასარიას საწვრო შენატანის გადახდა გადაუვადდა 2007 წლის პირველ ივნისამდე;

კ) გივი სექანიას საწვრო შენატანის გადახდა გადაუვადდა 2007 წლის პირველ ივნისამდე;

ლ) აპოლონ კონჯარიას საწვრო შენატანის გადახდა გადაუვადდა 2007 წლის პირველ ივნისამდე;

მ) გოგიტა გიუნაშვილს საწვრო შენატანის გადახდა გადაუვადდა 2007 წლის პირველ ივნისამდე;

ნ) მარიამ ასათიანს საწვრო შენატანის გადახდა გადაუვადდა 2007 წლის პირველ ივნისამდე;

ო) გივი მდინარაძეს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გაუნახევრდა საწვრო შენატანი და გადახდის ბოლო ვადად დაგენილ იქნა 2007 წლის პირველი ივნისი.

4. ასოციაციის აპარატს დაევალა, საწვროს გადავადების შესახებ გაზეთ „რეზონანსში“ განაცხადის გაკეთების უზრუნველყოფა.

აღმასრულებელი საბჭოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით საწვროს გადახდა საბოლოოდ გადავადდა 2007 წლის 1 ივნისამდე.

აღმასრულებელი საბჭოს შემდგომი სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნა საკითხი იმ წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, რომლებიც პირველ ივნისამდე არ გადაიხდიან დავალიანებას.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზ. ტაბიძე, დ. ასათიანი, ზ. ხატიაშვილი.
რ. მიგრიაული.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე